



## საქართველო

### თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო

#### გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 46 31

27/03/2018

#### მანუჩარ ფანჩულიძისათვის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 42-ე მუხლის პირველი პუნქტის ი) ქვეპუნქტის, 43-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ა) და ვ) ქვეპუნქტების, მე-3 და მე-4 ნაწილების, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №7 დადგენილებით დამტკიცებული „თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტი“-ს მე-13 მუხლის მე-4 პუნქტის ა) და ვ) ქვეპუნქტის, მე-5 და მე-6 პუნქტების თანახმად, საკრებულოს წევრის მანუჩარ ფანჩულიძის განცხადების (№84/46, 09/03/2018 წ.) საფუძველზე საკრებულომ გადაწყვიტა:

**მუხლი 1.** ცნობად იქნას მიღებული და ვადამდე შეუწყდეს მანუჩარ ფანჩულიძეს საკრებულოს წევრის უფლებამოსილება საკრებულოს წევრისათვის შეუთავსებელი თანამდებობის დაკავების გამო.

**მუხლი 2.** მანუჩარ ფანჩულიძის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თარიღია მისი თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის თანამდებობაზე დანიშვნის მომდევნო დღე - 2018 წლის 8 მარტი.

**მუხლი 3.** განკარგულება სახელმძღვანელოდ გაეგზავნოს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიას.

**მუხლი 4.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ.№7), დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**მუხლი 5.** განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ნინო ჯანელიძე

*ნ. ჯანელიძე*

საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო